ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

თეორიული და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ინსტიტუტი

ინსტიტუტი ორიენტირებულია მხატვრული ლიტერატურის, როგორც კულტურული ფენომენის სწავლებაზე, თანამედროვე ფილოლოგიური მეთოდებისა და მეთოდოლოგიების გამოყენებით. სწავლების წამყვანი მიმართულებებია: ლიტერატურის თეორიისა და პოეტიკის პრობლემები, შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა, მხატვრული ტექსტის სტრუქტურა, ლიტერატურული სკოლები და მიმდინარეობები, ლიტერატურული ჟანრები, მხატვრული სტილისა და სტილისტიკის საკითხები. პროფესურის მიზანია, გააფართოოს სტუდენტების თვალსაწიერი ლიტერატურის ზოგადი პრინციპების ცოდნის მიმართულებით და ჩართოს ქართული მწერლობა, როგორც მოდელი, ამ საერთო პროცესში. სტუდენტების სწავლების სამ სხვადასხვა საფეხურზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა), გათვალისწინებულია რა სტუდენტების ცოდნისა და განათლების განსხვავებული დონეები, სასწავლო პროგრამა დალაგებულია შემდეგი პრინციპით: საბაკალავრო ეტაპზე - შესავალი კურსებისა და არჩევითი საგნების ფართო სპექტრი, სამაგისტრო ეტაპზე - უკვე არსებული ცოდნის გაღრმავება კონკრეტული მიმართულებებით და სრულიად ახალი ცოდნის დანერგვა; სადოქტორო ეტაპზე - ფართო ჰუმანიტარული სფეროსათვის აუცილებელი ზოგადი ხედვებისა და კვლევითი მიმართულებების აქცენტირება. ინსტიტუტის მიზანია, აღზარდოს თანამედროვე მსოფლიო ფილოლოგიურ სტანდარტებთან შესაბამისი ახალგაზრდა თაობა. ინსტიტუტი ღიაა აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების გაცვლის საერთაშორისო პროგრამებისათვის.

ინსტიტუტი ორიენტირებულია მხატვრული ლიტერატურის, როგორც კულტურული ფენომენის ინტერდისციპლინურ კვლევებზე, თანამედროვე ფილოლოგიური მეთოდებისა და მეთოდოლოგიების გამოყენებით. კვლევების წამყვანი მიმართულებაა ლიტერატურული ტექსტის ანალიზი ფართო კულტურულ კონტექსტში შედარებით ანუ კომპარატივისტულ ჭრილში, რაც, ასევე, გულისხმობს

ქართული მწერლობის დასაბუთებულ ჩართვას საერთოლიტერატურულ პროცესში.ბოლო ათი წლის განმავლობაში ინსტიტუტის პროფესორების მიერ დამუშავდა არაერთი საინსტიტუტო და საგრანტო სამეცნიერო-კვლევითი პროექტი; გამოცემულია 30-მდე სახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელო და მონოგრაფია, რომელთა მიხედვითაც მიმდინარეობს სწავლება. კვლევის პროცესში ჩართულნი არიან სტუდენტებიც, როგორც პროექტების მონაწილენი, მათი კომპეტენციის ფარგლებში.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities

Institute of General and Comparative Literary Studies

Institute is oriented to teach the Literature as a cultural phenomenon, using contemporary philological methods and methodologies. The basic directions of teaching are the following: the issues of literary theory and poetics, comparative literature, the structure of the fictional text, literary schools and trends, literary genres, issues of style and stylistics. Professors aim to extend the students' knowledge in direction of general literary principles and include Georgian literature as a model in this process. Taking into consideration the different level of education and different level of students' knowledge, Institute offers the following teaching scheme: on the bachelor level - introductory courses and wide specter of optional courses; on the master level – the deepening of already gained knowledge to some particular directions and implementation of a completely new knowledge; on the doctoral level – accentuation of general approaches and research tracks, important for the wide circle of humanitarian studies.The aim of the institute is to develop a new generation, which will be adapted to contemporary standards of the world philology.Institute is opened for academic staff and students' exchange programs.

Institute is oriented to study the Literature as a cultural phenomenon, using contemporary philological methods and methodologies. One of the main trends of the research are Comparative studies – the analyses of literary text within the wide cultural scope, including in it the Georgian literature as a valuable literary model. During the last ten years, professors representing the Institute have published up to 30 books, textbooks and monographs, which are useful throughout the teaching process. Students are broadly involved in the research plans of the Institute within their competence.